მიხეილ ნიბლაძე: „ბახვი 1 ჰესის“ პროექტი თავისი ბუნებით არ წარმოადგენს გამონაკლისს საერთო ევროპული პრაქტიკიდან“

კურორტ ბახმაროს მიმდებარედ, „ბახვი 1“-ის მშენებლობის პროექტი არაერთგვაროვან კითხვებს იწვევს საზოგადოებაში. გარემოსდამცველები, ადგილობრივი მოსახლეობა შიშობს, რომ მდინარე ბახვისწყალზე ჰესების კასკადი ზიანს მიაყენებს კურორტ ბახმაროს. ამ თემაზე რეგიონის გარემოსდამცველებთან ერთად ადგილობრივი მედიაც მუშაობს. ჩვენ კითხვებით მივმართეთ კომპანია „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის გენერალურ დირექტორს **მიხეილ ნიბლაძეს.** გთავაზობთ ამ ინტერვიუს ჩანაწერს:

- როგორც. ალბათ იცით, საპროექტო ტერიტორია ექცევა გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის წინასწარ საზღვრებში. ეს იქნება პირველი დაცული ტერიტორია გურიის მხა-რეში, შესაბამისად მის შექმნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მხარისთვის, ისე მთელი ქვეყნისთვის. როგორია თქვენი, როგორც ბიომრავალფეროვნების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტის, დამოკიდებულება დაცული ტერიტორიების IUCN-ის მიერ განსაზღრულ კატეგორიებში ჰესის მშენებლობის შესახებ? რამდენად დასაშვებია მსგავსი ინფრასტრუქტურის მშე-ნებლობა ტერიტორიაზე, რომელიც ასეთი მდიდარია ბიომრავალფერო-ვნებით და რომელიც სულ მალე ოფიციალურად უნდა გახდეს დაცული ტერიტორია?

– როგორც ჩვენთვის ცნობილია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტომ და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (**WWF**), დაიწყო სამუშაოები გურიის ეროვნული პარკის დაარ-სებასთან დაკავშირებით.

CCEH VI-ისა და **WW**F ის წარმომადგენლებს შორის შედგა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც გაიცვალა ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობების შესახებ, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით. **WWF** ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, „ბახვი 1 ჰესის“ საპროექტო არეალი შედის გურიის დაცული ტერიტორიის წინასწარი საზღვრების შემადგენლობაში, რაც ამ ეტაპზე შესწავლის ფაზაშია, **WWF**-ის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დასრულება იგეგმება 2023 წლის 30 ივნისს.

მოგეხსენებათ რომ ევროპაში მრავლად არის იმის მაგალითები, როდესაც მცირე ჰესები აშენებულია დაცული ტერიტორიის საზღვრებში. შესაბამისად, „ბახვი 1 ჰესის“ პროექტი თავისი ბუნებით არ წარმოადგენს გამონაკლისს საერთო ევროპული პრაქტიკიდან. უფრო მეტიც, ბევრი ევროპული კურორტი და დაცული ტერიტორია თავისი პოზიციონირებისთვის იყენებს განახლებადი ენერგიის გამოყენების ფაქტს, მგდრადი განვითარების დასტურად და ტურისტების მოზიდვის მიზნით.

- როგორც იცით, საქართველოში გავრცელებული ბიომრავალფეროვნების შესახებ არსებული კვლევები და ლიტ-

▶▶▶ გვ-3

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 18 (10388) 21 ივნისი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

თემურ შაშიაშვილი: – საზოგადოება უნდა გაერთიანდეს სისტემური ცვლილებების, მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამის ირგვლივ

. ოზურგეთში, მოქალაქეთა ერთ ჯგუფს შეხვდა პოლიტიკური პარტია „თეთრების“ დამფუძნებელი **თემურ შაშიაშვილი.** რომლის ჩამოსვლის მიზანი მეცნიერებათა კონგრესის პროგრამის – მომავალი საქართველოსათვის გაცნობა იყო.

თემურ შაშიაშვილის თქმით, ქვეყნის მომავალი არა ბელადებთან და მილიონერებთან, არამედ განათლებულ და ღირსების მქონე ხელისუფლებასთან, არა პარტიულ, არამედ პიროვნებათა, პროფესიონალთა ხელისუფლებასთან და მეცნიერულ პროგრამებთანაა დაკავშირებული. ამიტომ სთხოვს გაერთიანდეს საზოგადოება სისტემური ცვლილებების, მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამის ირგვლივ. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მეცნიერებათა კონგრესის წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი.

–ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენ ვითხოვთ იმას, რომ ხელისუფლებამ შეასრულოს მისი კონსტიტუციური მოვალეობა: ხალხს ჰქონდეს საარსებო მინიმუმი, საცხოვრისი, დაცული იყოს მისი ჯანმრთელობა და ქვეყანაში იყოს განათლების მიღების თანაბარი პირობები.. დაცული იყოს სამართლიანობა, კორუფცია და ნეპოტიზმი გაუტოლდეს სამშობლოს ღალატს, მოიხსნას ყოველგვარი პრივი-

▶▶▶ გვ-2

გურიანთა – სოფელი, რომელიც ინფრასტრუქტურულად წლითიწლობით ვითარდება

ალიონი. უძველესი კულტურის სოფელ **გურიანთაში,** რომელსაც ცნობილი ისტორიკოსები სხვადასხვა წყაროებში ქვეყანადაც კი მოიხსენიებენ, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ბუმია. ამდ-ენი და ასეთი მნიშვნელობის პროექტები ამ სოფელში კარგა ხანია არ განხორციელებულა.

დავიწყოთ საგზაო ინფრასტრუქტურით. სოფლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე კეთდება, გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ **ციხისფერდში** 5261 გრძივი მეტრი ასფალტირებული გზა იგება, აქედან უკვე დაგებულია 1813 მეტრი. გურიანთაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის **გია ფასიეშვილის** თქმით, შესრულებული სამუშაოები შეესაბამება მაღალ სტანდარტებს. პროექტი, რომლის ღირებულება 1 693 924 ლარია, დაფინანსებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, თანადამფინანსებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. სამუშაოებს აწარმოებს შპს „პალადა“ (ხელმ. **ილია კეკელიძე**). პროექტი გარდამავალია და იგი მთლიანად მომავალ წელს დასრულდება.

„ამ პროექტში საყურადღებო ის არის, რომ იგი ითვალისწინებს მოსახლეობის ჭიშკრებთან მისასვლელი მონაკვ-ეთების მოწესრიგებას, ასევე შიდა ბეტონის გზების ახალ ცენტრალურ გზასთან დაერთებას მოასფალტებით“, – თქვა გაზეთ „ალიონთან“ საუბრისას გია ფასიეშვილმა.

შარშან ასევე ასფალტირებული გზა დაიგო სოფლის ძველი ცენტრიდან ახალაგებული ეკლესიის გასწვრივ აჭარის და სახლების მიმართულებით, ხიდამდე, ხიდს შემდეგ კი ხსენებულ დასახლებაში (60-მდე კომლი) გაკეთდა ბეტონის გზა. ბეტონის გზები სოფლის სხვა უბნებშიც არის დაგებული. ციხისფერდში, ცენტრალური გზიდან ხელმარცხნივ უფუნქიოდ არის დარჩენილი ადმინისტრაციული შენობა. არ-ქიტექტურულად იმდენად საინტერესო ნაგებობაა, მისი დანგრევა არ იქნება ალბათ გამართლებული. კარგი იქნება თუ სოფლის ხელმძღვანელობა და ახალგაზრდობა მოამზადებენ და შესაბამის უწყებებში გაგზავნიან ისეთ პროექტს, რომლის განხორციელებით გადარჩება და ფუნქციას შეიძენს ეს შენობა.

გურიანთის სკოლაში წლეულს მოეწყო ცენტრალიზებული გათბობა, სკოლის ეზოში გაკეთდა ჭაბურღილი და მოსწავლეები და პედაგოგები უზრუნველყოფილი არიან სასმელი და ტექნიკური წყლით. აქვე შეკეთდა სველი წერტილები.

ეკლესიის მშენებლობა აქ ძირითადად შარშან დამთავრდა, ეზო შემოიღობა ტუფის ქვის გალავანით. ახლა მიმდინარეობს კედლების მოპირკეთებისა და ეზოს მოწესრიგების სამუშაოები.

სოფელში ფუნქციონირებს ახალაგებული ამბულატორია, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ისე პაციენტებისთვის.

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

თემურ შაშიაშვილი: – საზოგადოება უნდა გაერთიანდეს სისტემური ცვლილებების, მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამის ირგვლივ

ლეგიები დეპუტატებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთათვის და გაცნობიერდეს, რომ ხელისუფლება უფროსი კი არა, მსახურია, რომ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება. მოკლედ რომ ვთქვათ, ხელისუფლება უნდა ასრულებდეს მის უპირველეს და უმთავრეს ფუნქციას: ქმნიდეს კონკურენტულ გარემოს და ადამიანი იყოს დაცული.

შეიძლება თქვენ მიგაჩნდეთ, რომ ხელისუფლება ყველაფერ ამას ასრულებს. ღია დისკუსია ყველაფერს მოჰფენს ნათელს. თუნდაც იმას, რომ დღეს საარსებო მინიმუმი არა 200-250 ლარის ფარგლებშია, როგორც ამას გვარწმუნებენ ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ 1100-1300 ლარის, როგორც ამას ჩვენ და დამოუკიდებელი ექსპერტები ვამტკიცებთ, და თუ აშშ და ევროპის საარსებო კალათის ღირებულებიდან ამოვალთ, ეს ციფრი 2-3-ჯერ გაიზრდება.

დიახ, ჩვენ ვამტკიცებთ იმას, რომ ამ მიწის, ამ წყლის, ამ ჰაერის, ამ სითბოს, ამ ბუნებრივი და და ადამიანური რესურსების, ამ გეოგრაფიული და ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყანაში ასე არ უნდა ვცხოვრობდეთ, ადამიანებს არსებობის პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ. პირიქით, ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვცხო-ვრობდეთ ბედნიერებით სავსე სამშობლოში – განაცხადა „თეორების“ ლიდერმა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ „თეორების“ წარმომადგენლები, მეცნიერებათა დოქტორი **ლუარა ნიჟარაძე** *და* **ნოდარ აბზიანიძე.**

შრომაში (ჩირეში) გზის მოასფალტების სამუშაოები დაიწყო

ალიონი. გაზეთი „ალიონი“ წინა ნომერში წერდა სოფელ შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში ურეკი-ჩირე-გრიგოლეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. იმჟამად გზის მოტკეპნითი სამუშაოები მიმდინარეობდა.

ამჟამად, 2 905 მეტრი სიგრძის გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნული გზის რეაბილიტაცია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტს, შპს „პალადა“ ახორციელებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 1 017 995 ლარს შეადგენს.

რა ხდება ოზურგეთში ანტივაქსერული მოძრაობის შესამცირებლად

ალიონი. Covid-19-ის გავრცელებას და მასთან დაკავშირებულ ვაქცინაციას თან ახლავს დეზინფორმაციის ძლიერი ტალღა, რომელიც წარმატებით ვრცელდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. მოქალაქეები, ინფორმაციის ცვალებად და უკონტროლო ნაკადში (განსაკუთრებით სოციალური ქსელებიდან) ხშირად იღებენ მცდარ და გადაუმოწმებელ ინფორმაციებს, როგორც **Covid** -19-ის, ისე ვაქცინაციასთან დაკავშირებით, რაც საქართველოში კოვიდსაწინააღმდეგო აცრების დაბალი მაჩვენებლებში აისახება. როცა მოქალაქეები ვაქცინაციას იკეთებენ, ზრუნავენ არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზეც.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის **პაატა იმნაძის** განცხადებით, საქართველოში ე.წ. „ინდური შტამი“ იწყებს გავრცელებას. საქართველოში, უკვე 18 შემთხვევა დაფიქსირდა.

*–სამწუხაროდ, მთელ ევროპაში ძალიან იმატებს „დელტა“(ინდური შტამი) შტამის ფუნქციონირება. სამწუხაროდ, წამყვანი ხდება „დელტა“ შტამი ძალიან ბევრ ქვეყანაში, ჩვენთანაც იმატებს ამ შტამის აღმოჩენის რაოდენობა. ეს ძირითადად ჩვენი მოქალაქეები არიან, რომლებიც ბრუნდებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. დღეისთვის 18 დადასტურებული შემთხვევაა, ეს ნიშნავს, რომ „ინდური შტამიც“ იწყებს გავრცელებას",–*აღნიშნა პაატა იმნაძემ.

18 ივნისის მონაცემებით, საქართველოში 357 591 ადამიანია ინფიცირებული, საიდანაც აქტიური შემთხვევა 9.083; გამოჯანმრთელდა 343, 377 ადამიანი; გარდაცვლილთა რაოდენობა 5,131 ადამიანია.

*რაც შეეხება გურიის რეგიონს, ამ დროისათვის (16 ივნისის მონაცემებით) ინფიცირებულია **8205** ადამიანი, გამოჯანმრთელდა **7961,** ინფიცირებულთა რაოდენობა, რომელიც ამ ეტაპზე გადის მკურნალობას - **119** , გარდაიცვალა **125** პაციენტი.*

გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან მუშაობს კოვიდის რეგიონული შტაბი, რომელიც მართავს შეხვედრებს, შტაბის წევრებთან. 16 ივნისს გამართულ შეხვედრაზე რეგიონში მასიური ვაქცინაციის პროცესის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის მზაობა და მთავარი გამოწვევები განიხილეს.

გაზეთი „ალიონი“ 16-18 ივნისს აკვირდებოდა, რა ხდებოდა რეგიონის ცენტრში მოქალაქეთა მიერ პირბადეების ტარებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ არაერთ შემთხვევაში მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობა დაბალია. არაერთი მოქალაქე დავაფიქსირეთ ქალაქის ცენტრში და ბაზრის ტერიტორიაზე პირბადის გარეშე.

–რამდენიც გინდა გადაიღეთ. არ მიკეთია პირბადე და არც გავიკეთებ,– გვითხრა ლ. კ-მ, რომელიც ბაზრის ტერიტორიაზე ვაჭრობს.სხვებიც აღმოჩნდნენ, რომლებსაც შენიშვნის მიცემისას რეაქცია არ ჰქონია.

ჩვენ, გავესაუბრეთ შპს „სოფლის ნობათის“ დირექტორს **სოსო სიხარულიძეს;**

–ადრე ბაზრის ტერიტორიაზე შემოდიოდა პატრული და აფრთხილებდა მოქალაქეებს დისტანციის დაცვისა და პირბადეების ტარებასთან დაკავშირებით. *ბაზრის ცენტრალურ შესასვლელთან მორიგეობდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები. ამჟამად ბაზრის შესასვლელში დგას აპარატი და მოქალაქეებს საშუალება აქვთ ჩაიტარონ თერმოსკრინინგი. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ მთლიანი ბაზრის ტერიტორიას, რადგან კერძოა. გეთანხმებით, ბევრს არ აქვს გათვითცნობიერებული, რა საფრთხის შემცველია პირბადის გარეშე სიარული,* – გვითხრა მან.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის ოფისის ხელმძღვანელი **არჩილ მჟავია** ამბობს, რომ მიუხედავად ინფიცირების მკვეთრი შემცირებისა, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი პირბადის ტარებაა, ეს უნდა იყოს ჩვენი თანამგზავრი, რადგან მას ძალიან დიდი დამცველობითი უნარი აქვს.

– პირბადის გამოყენება აუცილებელია დახურულ სივრცეებში: კერძო და საჯარო დაწესებულებებში, საერთო სარგებლობის ლიფტებში, სავაჭრო ობიექტებში ყოფნისას, საზოგადოებრივ ტრანსპორტით. ტაქსით გადაადგილებისას; ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე პირბადის გამოყენება აუცილებელია შეხვედრებზე, სხვადასხვა სახის თავშეყრისას, როდესაც შეუძლებელია 2 მეტრიანი სოციალური დისტანციის დაცვა,“ – გვითხრა არჩილ მჟავიამ.

ლადო ხავთასი „ოზურგეთის საპატიო მცხოვრების“ წოდებით დაჯილდოვდა

10 ივნისს, ცნობილ სამეურნეო მუშაკს, ოზურგეთელ ლადო ხავთასს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ამ დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ ლადო ხავთასი** „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მცხოვრების“ წოდებით დაჯილდოვა და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

–„ლადო ხავთასი, მშობლიური კუთხის გულშემატკივარი და ქვეყნის პატრიოტია. იგი, ყველასთვის საყვარელი ოზურგეთელია. გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, ერთგულებით და ხასიათდება დიდი სიყვარულით. ვულოცავ ბატონ ლადოს 90 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას“ – აღნიშნა ოზურგეთის კონსტანტინე შარაშენიძემ.

ლადო ხავთასი 1931 წლის 10 ივნისს დაიბადა. 1952 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედო სამსახურში, სწავლობდა პენზის ოლქის ქ. კამენსკას სამხედრო საფრენოსნო სკოლაში, სადაც 100 საპარაშუტო ხტომა განახორციელა. მუშაობდა „საქსოფლტექნიკის“ მახარაძის გაერთიანების ტექნიკური მომსახურების სადგურში ინჟინერ-მექანიკოსად, ამ სპეციალობით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. მოგვიანებით კი „საქსოფლტექნიკის“ საირაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზის დირექტორად დანიშნა.

1975 წლიდან მუშაობდა, საქართველოს დამზადების სამინისტროს 6 წისქვილ-ქარხნის დირექტორის პოზიციაზე, შემდეგ საქართველოს პურპროდუქტების სამინისტროს მახარაძის გაერთიანების გენერალური დირექტორად. მისი ხელმძღვანელობით, საწარმოს წარმატებულმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მახარაძის რაიონის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში.

მიხეილ ნიბლაძე: „ბახვი 1 ჰესის“ პროექტი თავისი ბუნებით არ წარმოადგენს გამონაკლისს საერთო ევროპული პრაქტიკიდან“

ერატურა საკმაოდ მოძველებულია, შესაბამისად სახეობების გავრცელების და მათი მოწყვლადობის შესახებ მხოლოდ აღნიშნულ ლიტერატურაზე დაყრდნობით საუბარი არ შეიძლება, საჭიროა ჩატარდეს ხანგრძლივი, სეზონური და დეტალური საველე კვლევები, როგორც უშუალოდ საპროექტო დერეფანში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, რას გვეტყვით საპროექტო ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების კვლევის მეთოდების შესახებ - რა მეთოდები იქნება გამოყენებული, რამდენ ხანს გაგრძელდება კვლევები და იქნება თუ არა ისინი ჩატარებული ყველა სეზონზე, რა არეალს მოიცავს საკვლევი ტერიტორია? კონკრეტულად რომელი მიმართულების დარგის სპეციალისტები იქნებიან ჩართულნი აღნიშნულ კვლევაში?

– ჩვენმა კომპანამ ბიომრავალფეროვნების კვლევის ჩასატარებლად მოიწვია, **SLR**-ის საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც არის საერთაშორისო გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია და აერთიანებს 1,600-მდე კონსულტანტს ბრიტანეთის, საფრანგეთის, ირლანდიის, აშშ-ს, კანადის, ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის ოფისებში. კომპანია 1994 წელს დაფუძნდა და ის გლობალური ლიდერია გარემოსდაცვითი და საკონსულტაციო გადაწყვეტილებების მიმართულებით. **SLR** -ი თავის კლიენტებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ეხმარება მიაღწიონ მდგრადობის მიზნებს იმ ღონისძიებების სწორედ დაგეგმვის და განხორციელების მეშვეობით, რომელიც პირდაპირ აისახება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

„ბახვი 1“ პროექტისათვის ბიომრავალფეროვნების კვლევის ფარგლებში მოხდება წყლის სახეობების, ძუძუმწოვრების, ფრინველების, რეპტილიებისა და ამფიბიების, ღამურების, ფლორის, სოკოების და ტყის საფარის შესწავლა. აგრეთვე, იგეგმება კრიტიკული ჰაბიტატის კვლევა.

რაც შეეხება სეზონურობის საკითხს, ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტია ბიომრავალფეროვნების კვლევის პროცესში. „ბახვი 1 ჰესის“ ბიომრავალფეროვნების კველევა მოიცავს ყველა სეზონს, როგორც მონაცემების საველე კვლევის გზით მოპოვების კუთხით, ასევე სამხილზე დამყარებული მონაცემების ანალიზს.

„ბახვი 1 ჰესის“ პროექტის საკვლევი არეალის ბიომრავალფეროვნების კვლევის პროცესში საველე სამუშაოების წარმოებისას გამოყენებულ იქნა თანამედროვე მეთოდები, როგორიც არის: ღამურების ხმის ჩამწერი დეტექტორებისა და ფოტო ხაფანგების დამონტაჟება.

საველე კვლევების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, იგეგმება ბიომრავალფეროვნების ზონირების რუკის შედგენა, რაც თავის მხრივ **SLR-ის** მიერ გამოყენებული იქნება კრიტიკული ჰაბიტატების განსაზღვაში, ევროკავშირის გარემოს დაცვითი სააგენტოს მიერ შემუშავებული **EUNIS**-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის ყოვლისმომცეველი სისტემის მიხედვით.

ყოველივე ზემოხსენებული გამოყენებული იქნება კომპანია შ ღ-ის მიერ, „ბახვის 1 ჰესის“ პროექტისთვის საუკეთესო შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვაში.

– იქნება თუ არა შესწავლილი მდინარე ბახვისწყალში დასატოვებელი ეკოლოგიური ხარჯის საკითხი? ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგანაც სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მდინარეში დატოვებული იქნება 12% ეკოლოგიური ხარჯი, რაც ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ძალიან ცოტაა თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მდინარეში ბინადრობს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა - ნაკადულის კალმახი, რომელსაც უყვარს ჩქარი, ჟანგბადით გაჯერებული მდინარეები. რამდენად ითვალისწინებს თქვენი კვლევა მდინარის ეკოსისტემის, წყლის და წყალთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად 12%-იანი ხარჯის საკმარისობის შესწავლას? თუ აღნიშნულ საკითხს შეისწავლით, მაშინ რა მეთოდოლოგიით?

– მოგახსენებთ, რომ ბიომრავალფეროვნების კვლევის ფარგლებში უკვე ჩატარდა იქტიოფაუნის კვლევის პირველი ეტაპი, რომლის შესწავლა და გაანალიზება ხდება **SLR-ის** კონსულატანტების მიერ. ასევე დაგეგმილია, რეპტილიებისა და ამფიბიების კვლევა. მიმაჩნია, ამ ეტაპზე ნაადრევია დასკვნებზე საუბარი, თუმცა, რასაკვირველია კვლევის დასრულების შემდეგ ჩვენ მოვიწვევთ ყველა დაინტერესებულ მხარეს კვლევის საჯარო განხილვაზე.

რაც შეეხება „ბახვი 1“-ის მიერ მდინარეში დასატოვებელი წყლის ოდენობას, გვსურს ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას რომ, მდინარე ბახვისწყალის კალაპოტში დარჩება წლიური ჩამონადენის არა 12%, არამედ 29%. ცნობისათვის, „ბახვი 1 ჰესის “პროექტის სათავე ნაგებობასთან მდინარე ბახვისწყალის წლიური ჩამონადენი შეადგენს 77,2 მლნ. მ3 , საიდანაც 22,1 მლნ. მ3 რჩება მდინარის კალაპოტში, რაც სწორედ 29% -ის ტოლია.

იმის გათვალისწინებით, რომ „ბახვი 1 ჰესის“ საპროექტო ტერიტორიაზე მდინარე ბახვისწყალს ქვედა დინებაში ემატება მცირე ზომის შენაკადები, მოცემული 29% გაიზრდება 42%-მდე.

– როგორც ვიცით, მდინარე ბახვისწყალზე ქვედა დინებაში მოქცეულია „ბახვი 3 ჰესი“, ასევე იგეგმება „ბახვი 2 ჰესის“ მშენებლობა. იქნება თუ არა თქვენი კვლევის ფარგლებში შეფასებული კუმულაციური ზემოქმედება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე?

– დიახ, ჩვენ გვევმავთ ბიომრავალფეროვნებაზე კუმილაციური ზემოქმედების შესწავლას.

– რეკომენდაციებისა და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში იქნებით თუ არა თავად თქვენ და თქვენი კომპანია ჩართულები?

– როგორც უკვე აღვნიშნე, ბიომრავალფეროვნების კვლევის ჩასატარებლად მოვიწვიეთ მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია **SLR-ი**. კვლევის შედეგებსა და შესაბამისი შემარბილებელი ღონიძიებების შემუშავებაზე პასუხისმგებელია სწორედ SLR-ი. წარმოდგენილი საბოლოო კვლევის ანგარიში და შესაბამისი ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა სრულებით გაზიარებული იქნება ჩვენ მიერ.

კომპანია SLR-ის ექსპერტი არასამთავრობოებს შეხვდა

ალიონი. გასულ პარასკევს, ქ. ოზურგეთში, ფოლკლორის ცენტრში კომპანია „სი-სი-ი-ეიჩ VI“-ის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მართვის ჯგუფის ინიციატივით გურიაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა, თუმცა ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავ-რობოების წარმომადგენლები ამ შეხვედრას არ დასწრებიან.

კომპანიამ შეხვედრის მონაწილეებს საკონსულტაციო ფირმის **SLR**-ის ეკოლოგი, **ნიკოლა ფოლსკი** წარუდგინა.

როგორც ნიკოლას ფოლკსმა განაცხადა, **SLR** „ბახვი 1“-ის მშენებლობასთან დაკავშირებით ბიომრავალფეროვნების კვლევას აწარმოებს, რომლის შედეგად განისაზღვრება ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ამ კონკრეტული ბიომრავალფეროვნების კვლევის ფარგლებში მოხდება წყლის და ნახევრად წყლის სახეობების, ძუძუმწოვრების, ფრინველების, რეპტილიებისა და ამფიბიების, ღამურების, ფლორის, სოკოების და ტყის საფარის შესწავლა. აგრეთვე იგეგმება კრიტიკული ჰაბიტატის კვლევა – თქვა უცხოელმა ექსპერტმა.

გაზეთ „ალიონის“ კითხვაზე, რამდენად ითვალისწინებს მათი კვლევა მდინარის ეკოსისტემის, წყლის და წყალთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად 12 %-იანი ხარჯის საკმარისობის შესწავლას, როცა დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ეკოსისტემის შესაარჩუნებლად 30 პროცენტიც კია გათვალისწინებული, **ნიკოლა ფოლკსმა უპასუხაა, რომ საქართველოს პირობებში, მცირე ჰესები მდინარიას აუზში არც თუ იშვიათად ეკოლოგიურ ხარჯისათვის, წყლის 5 პროცენტს ტოვებენ მდინარის აუზში. ჩვენ მათ ვაძლევთ რეკომენდაციას, რომ მდინარის აუზში წყლის 10 პროცენტი მაინც უნდა დარჩეს.**

მანვე განაცხადა, რომ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში მცირე ჰესები დაცული ტერიტორიების ფარგლებშიც კი შენდება, რათა მათ იქ ტურისტული ინფრასტრუქტურა შექმნან.

საინტერესო და კრიტიკული კითხვები დასვეს საია-ს ოზურგეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა **თამაზ ტრაპაიძემ**, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა **მაია ბერიძემ**, „ფენიქსი 2009“-ის წარმომადგენელმა **ენრი მამინაშვილმა** და სხვებმა.

პროექტის მენეჯერის **ვიგლა სისარულიძის** თქმით, ჰესის სათავე ბახმაროში კი არა, ბახვისწყლისა და ბაისურას შესართავში გაკეთდება, რაზედაც **თამაზ ტრაპაიძემ უპასუხა, რომ ბაბმარო არის ბახვისწყლისა და ბაისურას შესართავი, მზის ჩასვალი ვორა, შედ-რეკილის მთა, ფაფარა და საყორნაც.**

გურიანთა – სოფელი, რომელიც ინფრასტრუქტურულად წლითიწლობით ვითარდება





იყო დრო, რომ გურიანთელებს სასმელი წყლის პრობლემა არ ჰქონდათ, მაგრამ ძველი, კომუნისტებისდროინდელი წყალსადენიდან აღარაფერია შემორ-ჩენილი. ამდენად სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა სო-ფლის მოსახლეობისა და ხელმძღვანელობისთვის პრიორიტეტული საკითხია.

როგორც გია ფასიეშვილმა გვითხრა, ციხისფერდში წლეულს მოეწყო ორი ჭაბურღილი, საერთო ჯამში უკვე 5 ჭაბურღილია. ბოლო ფაზაშია დაქსელვის სამუშაოები, პირველ რიგში, დაიქსელა ის ადგილები, სადაც ახლა ცენტრალური გზის მოასფალტება მიმდინარეობს. ძველი აბანოს ტერიტორიაზე აიგება წყალშემკრებ-გამანაწილებელი, წლეულს 160 ოჯახი დაერთდება ამ წყალსადენზე. დაერთება ეტაპობრივად გაგრძელდება და საბოლოოდ ყველა ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი სასმელი წყლით.

ფასიეშვილის თქმით, გურიანთელები ემადლიერებიან მუნიციპალიტეტის მერს. **კონსტანტინე შარაშენიძემ** სოფელს რაც შეპირდა, უმეტესობა უკვე შეასრულა, დანარჩენი შესრულების პროცესშია და ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს.

მეტად საინტერესო და საგულისხმო რამ გვითხრა გია ფასიეშვილმა სოფლის მუზეუმის შესახებ, რომელიც სოფლის ცენტრში, ყოფილი სავაჭრო ობიექტის მეორე სართულზე იყო განთავსებული:

„ბატონმა კოტემ შემოგვთავაზა იდეა ამ მუზეუმის ისტორიული ვაშნარის ტერიტორიაზე გადატანისა, უფრო სწორად, ახალი მუზეუმის აგებისა. გურიანთელები, რა თქმა უნდა, მოწონებით შევხვდით ამ იდეას“, –აღნიშნა ფასიეშვილმა.

მოკლედ, ჩანს იმის პერსპექტივა, რომ ოდითგანვე ცნობილი ეს დიდი

გამორჩეული დღე ლიტერატურული სალონის ისტორიაში

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა, შრომის საჯარო სკოლა, სადაც თავის შთამბეჭდავ ისტორიას წერს აქ მოქმედი ლიტერატურული სალონი **„ივერია“** (ხელმძღვანელი, სკოლის დირექტორი, გამოცდილი ფილოლოგი და კარგი კალმოსანი **რუსუდან ცეცხლაძე**)

ქართული ლიტერატურისა და ქართული კინოს დღე ლამაზი და გამორჩეული აღმოჩნდა „ივერიელთათვის“. სწორედ ამ დღეს გამართეს აქ ლიტერატურული სალონის წევრებმა პროექტ **„კინოკლასიკად ქცეული ლიტერატურული ნაწარმოებების“** შემაჯამებელი სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიება, რომელიც დიდებულად წარმართა ჩვენმა უმცროსმა კოლეგამ, მეშვიდეკლასელმა **ავთო ხომერიკმა.** შეგახსენებთ, რომ ეს ის ავთო ხომერიკია, ვინაც წარმატებით უძღვება აქ არსებულ ინტერნეტტელევიზიას.

„სიტყვაკაზმული ქართული მწერლობა ყოველთვის იყო შთაგონება არაერთი ქართველი რეჟისორისა, რომ ეკრანზე გაეცოცხლებინათ ლიტერატურული პერსონაჟები, ჩვენი მაყურებლის წარმოსახვა და ფანტაზია გაემდიდრებინათ მათი სულიერი სამყაროს ჩვენებით.

სამწუხაროდ, დღეს ზეციურ საქართველოში განისვენებს ბევრი შემოქმედი, ვინც დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ქმნიდა და ძერწავდა ამ გმირებს, ჩვენი ცხოვრების თანამგზავრები რომ გახდნენ. ვფიქრობ, ამ ღონისძიებით პატივს მივაგებთ მათ ნათელ ხსოვნას,“ – თქვა ღონისძიების გახსნისას ავთო ხომერიკმა.

სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დასაწყისში „ლოცვა სწავლის დაწყების წინ“ შეასრულა XI კლასელმა **ნინო ხომერიკმა.**

„ბაში-აჩუკი“ – ჩვენი საყვარელი მოთხრობა და ყველაზე ეროვნული ფილმი“ – ამ თემით წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე X კლასის მოსწავლე **ეკატერინე შერვაშიძე.**

„ვაჟა-ფშაველას გენიალური პოემები და „ვეფრების“ ალეგორიულ-სიმბოლური სახეები“ წარმოგვიდგინეს წლევანდელმა სკოლადამთავრებულებმა **მარიამ ტულუშმა** და **ნინო მერაბიშვილმა.**

თემით „შვილების მკვლელი მამები“ და ხევისბერი გოჩას სახის მხატვრული გააზრებისათვის“, დაგვაინტერესა X კლასელმა **მარიამ კეჭაყმაძემ** და XI კლასელმა **ლუკა ხომერიკმა.**

„კაცია ადამიანი?!“ – მოთხრობა, სპექტაკლი, კინოფილმი“ – X კლასის მოსწავლე **ანა ფუტკარაძე** გახლდათ ამ თემის ავტორი.

„ყვარყვარე თუთაბერი“ – პიესა და ფილმი პოლიტიკურ ავანტიურისტზე“ – თავიანთი ერთობლივი ნაშრომი გაგვაცნეს XI კლასის მოსწავლეებმა **თამუნა ძნელაძემ** და **მარიამ ჩხაიძემ.**

„მაგდანას ლურჯა“ ფილმი, რომელმაც დროს გაუძლო“ – VIII კლასის მოსწავლე **ქეთევან მოსახლიშვილის** ამ საკონფერენციო მასალამ მიიქცია დამსწრე საზოგადოების ყურადღება.

„მარიტასა და ფუფალას ლიტერატურულ და კინოსახეთა ურთიერთმიმართებისათვის“ – ამ თემით გაგვეცნო X კლასის მოსწავლე **ელენე კვაჭანტირაძე.**

დიდი სიამოვნება მოგვანიჭა XI კლასის მოსწავლე **ლიზი ხომერიკის** ნამუშევარმა „სესილია თაყაიშვილის მოხუცები“.

„ადამიანი მზე და სიცოხლე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონსა“ და „მე ვხედავ მზეში“ – XI კლასის მოსწავლეების **მაგდა ცირდავასა** და **ინა ჩიქოვანის** ეს საკონფერენციო ნაშრომი უდავოდ მრავლისმეტყველია.

„მოთხრობა და ფილმი „ცისფერ მთებსა“ დაუჯერებელ ამბავზე“ – X კლასის მოსწავლეების **სვეტლანა სალიასა** და ჯემალ **გოჩიტიძის** ეს ნაშრომი ტაშით შეაფასა დამსწრე საზოგადოებამ.

ლექსები წაიკითხეს: ლუკა **ხომერიკმა** (VIII კლასი), **ავთო ჩხიტუნიძემ** (VII კლასი), **თომა მოსახლიშვილმა** (VI კლასი), **ლელა ქებურიამ** (X კლასი), **სალომე ხომერიკმა** (XI კლასი), **ნინო ხომერიკმ**ა (XI) კლასი).

კონფერენციის დასასრულს „ლოცვა სწავლის დასრულების შემდეგ“ შეასრულა VII კლასის მოსწავლე **ლუკა ხომერიკმა.**

სასწავლო შემოქმედებით კონფერ-ენციაში ასევე მონაწილეობდნენ: ნინო მაისურაძე, ანანო ჩხიტუნიძე, ჟანა კიკნაველიძე, კესარია მოქოშვილი, დავით ხვედელიძე გიგი დევაძე.

ლიტერატურულ სალონს სოფელ შრომაში მრავალი წიგნიერი გულშემატკივარი ჰყავს, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციას, მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ შრომაში **კოტე ხომერიკი** და სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი **დავით ჭაკნელიძე.**

კონფერენციის მუშაობის პროცესში დაცული იყო პანდემიის საწინააღმდეგოდ შემუშავებული რეგულაციები.

P.s. „ლიტერატურული გურიას“ რედაქტორის **თემურ მარშანიშვილის** გადაწყვეტილებით, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე წარმოდგენილი რამდენიმე ნაშრომი, მცირეოდენი შემოკლებებით, გამოქვეყნდება საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის ხსენებულ გაზეთში.

ალიონი 90

1938 წელი

ჩვენ გვწერენ

მოლოტოვის სახელობის ქუჩა უნუგეშო მდგომარეობაშია

მოლოტოვის სახელობის ქუჩა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს სტალინისა და ცხაკაიას ქუჩებს შორის, მეტადრე სამხედრო წერტის წინ.

ქუჩის ამ ნაწილზე ამოღებულია ორმოები და ღამით გავლა სახიფათოა. ხშირად გაისმის ღამით ქარხნიდან მომავალი მუშების საჩივრები, რომ მათ ფეხები წუმპეში უვარდებათ. თუ ფანარი არ მიგაქვთ, საშიშია ფეხი არ წაიტეხო.

რა დანიშნულება აქვს ამ ორმოებს?

ის, რომ შიგ დამდგარი წყალი ძირს ურბილებს, რის შემდეგ გადავლილი ბორბლები კიდევ უფრო აღრმავებს მას, ისე, რომ მალე ეს ორმოები ჭებად გადაიქცევა. ასეთივე მდგომარეობაშია ტელმანის ქუჩაც. აქ დიდი ტალახის გამო ურმები და მანქანები ვერ ახერხებენ აღმართში ასვლას. ქალაქის საბჭომ ახლავე უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები.

ა.მეფისაშვილი

კ. ჩხაიძე

№13, 20 თებერვალი, 1938 წ.

ხელოვნება

მახარაძის თეატრში

1937-38 წლის განმავლობაში მახარაძის თეატრმა (დირექტორი კ. კვაშალი, რეჟისორი გ. როსება) შესანიშნავი პიესა დადგა.

ახლად მომზადებული იქნა გ. გორდაძის „შხამიანი გველები“, გ. მდივნის „სამშობლო“ და დავით კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით „სამანიშვილისდედინაცვალი“. განახლებულ იქნა გ. მდივნის დრამა „ბრმა“, ნახუცრიშვილის და გამრეკელის კომედია „ნაცარქექია.“

ამჟამად თეატრი ერთსა და იმავე დროს ამზადებს ორ დრამას; პ. სამსონიძის „სალტეს“ და ი. გედევანიშვილის „მსხვერპლს“.

პიესა სალტე, რომელიც ასახავს 1930-31 წლების კოლექტივიზაციის სურათს, დაიდგმება 9 მარტს.

პიესას ამზადებს რეჟისორი კ. შაქარიშვილი.

მონაწილეობენ დასის წევრები: შ.ჩავლეიშვილი, ვლ. ბაჯელიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, შ. ჭავჭანიძე, ე. თალაკვაძე, შ. გელაშვილი, ჭანტურიშვილი, ჭეიშვილი, ზურაბიშვილი და სხვ.

პიესა დაიდგმება ლ. მალაზონიას მხატვრულ და რ. ლიმინაძის მუსიკალური გაფორმებით.

პიესა „მსხვერპლი“ დაიდგმება მარტის ბოლო რიცხვებში.

თეატრს ასევე განზრახული აქვს თავისი დადგმები გადაიტანოს კოლმეურნეობებში.

ვ. დათუნაიშვილი

№16, 28 თებერვალი, 1938 წ.

ცოფიანი ძაღლების დახვრეტას იწონებენ

გამოვიდა თუ არა განაჩენი უმაღლესის სასამართლოს, „მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის“ განადგურების შესახებ, იმ წუთშივე შეიკრიბა ჭალის კოლმეურნეები მის გასაცნობად. ფაშისტური ოხრანკის აგენტების, სამშობლოს გამყიდველების განადგურებამ დიდი სიხარული გამოიწვია კოლმეურეებში.

—ის ვინც ფიქრობდა დაენგრია და მოწასთან გაესწორებია ჩვენი აყვავებული სამშობლო, ანგარიშში მოტყუვდნენ, მათი მავნებლური საქმიანობა არ გამოეაპარა შიხსახკომსა და მის რკინის სახკომს ამხანაგ ეჟოვს, მათ დანაშაულზე წაუსწრეს და განადგურებული არიან —ამბობდნენ სიტყვებით გამოსული კოლმეურეები.

ხალხის მტრების საპასუხოდ, ჩვენ ჭალის კოლმეურეები გადაჭარბებით და მაღალ ხარისხოვნად შევასრულებთ ყოველგვარ გეგმებს კოლმეურეურნეობაში, არ დავინდობთ იმათ, ვინც ფიქრობს, ან შეეცდება შეასუსტოს აყვავებული ქვეყნის ძლიერება – ნათქვამია მიღებულ რეზოლუციაში.

დიდი მადლობა სსრ კავშირისი სასამართლოს უმაღლეს კოლეგიას ღირსეული განაჩენისათვის!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს!

№21, 21 მარტი, 1938 წ.

ფიზკულტურა და სპორტი

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი სხვადასხვა ქალაქში 12 ერთდროულად ატარებს სამატცო შეხედრებს სიმძიმეების აწევაში ოთხ წონით კატეგორიაში.

ქ. მახარაძეში შეხვდებიან მჩატე წონის შტანგისტები: ლესელიძე (მახარაძე), ნუნიკიანი (ბათუმი), ,საფაროვი (ახალციხე), შოშიაშვილი 9თბილისი) და ერთი ძალოსანი აფხაზეთიდან.

აღნიშნული სამატჩო შეხვედრები შტანგაზე ინტერესს იწვევს იმ მხრივაც, რომ ასეთი მეთოდი ვარჯიშობისა გამოიწვევს სპორტის ამ სახის მუშაობის გამოცოცხლებას და ხელს შეუწყობს ძალოსანთა სექციაში ძალოსნების მიზიდვას.

მახარაძეში შეჯიბრება დანიშნული 12 აპრილს 8 საათზე, ფიზკულტურის დარბაზში.

ვ. ლესელიძე

თეატრის ახალი შენობა

ქალაქის ცენტრში, ლენინის მოედანთან დაიწყო თეატრისათვის ახალი შენობის აგება.

შენობა უზრუნველყოფილია საჭირო მასალით და მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

თეატრის ახლი შენობა დაიტევს 450 მაყურებელს, მის აგებაზე იხარჯება დაახლოებით 80 ათასი მანეთი და მზად იქნება მიმდინარე წლის 1 მაისისათვის.

№27, 10 აპრილი, 1938 წ.

ექსკლუზივი

ნასაპირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ. გაზ. „ალიონი“ №№ 34-36 2020 წ. №№ 1-14, 2021 წ

გაზაფხულის მიწურულს, როგორც იცის ხოლმე, ცრიდა გურიაში. დაკვირვებული კაცი ადვილად შეამჩნევდა, რომ ნატანების რკინიგზის სადგურზე მცირე რაოდენობის მომლოდინე ხალხიდან უმეტესობა სამოქალაქო ტანსაცმელგადაცმული მილიციელები იყვნენ. აქა-იქ მილიციის მანქანებიც შეინიშნებოდა, ყველაფერი გათვლილი იყო...

მოსკოვი-ბათუმის მატარებლის სამსაათიანი დაგვიანებით ჩამოდგომამ აანერვიულა დამხვდურები. არც კი იყო გაჩერებული, რომ მე-6 ვაგონისკენ გაიქცნენ ახალგაზრდა ბიჭები. პროკურორი და მილიციის უფროსი ბაქანიდან აკვირდებოდნენ მათ მიერ პროფესიონალურად დაწერილი სცენარის ხორცშესხმას. ვაგონი ზუსტად მანქანის ამოსასვლელთან გაჩერდა. გამცილებელმა კარი გააღო თუ არა, ბიჭები ტამბურში აცვივდნენ. ზღურბლზე გამოჩნდა კოპებშეკრული სოსო, რომელმაც წამიერად შეაფასა სიტუაცია – კაცი შვილმა ვერ მოასწრო იმის დანახვა, როგორ აღმოჩნდა ის და მისი მხლებელი მომენტალურად შემოვარდნილ „ჩორნი ვორონაში“. ოპერაცია რამდენიმე წამში დამთავრდა. სანამ მატარებელი დაიძრებოდა, ოპერაციის ყველა მონაწილე უკვე სოფელ ნატანებს იყო გაცილებული...

უკან დარჩა უძილო ღამეები, ნერვიულობა, დაძაბულობა. საქმის ნახევარი გაკეთებულია, ეჭვმიტანილი აყვანილია. ჩეკისტებს წინ ახალი მღელვარე დღეები ელით, რას იტყვის მარტიკიანი, გამოძიებას ხელოვნურ ჩიხში ხომ არ შეიყვანს?..

– ოვანეს, იცი, ალბათ, რომ უმძიმეს დანაშაულში გედება ბრალი.

– ჯერ არაფერი ვიცი, უფროსო. – მოკლედ მოჭრა ბრალდებულმა.

– დავიწყოთ თავიდან, წვრილმანი დეტალების გახსენებით და გათვალისწინებით. თქვენ ბრალი გედებათ ლეიტენანტ ჟღენტის და ირინა პანფილოვას სასტიკ მკვლელობებში. იზიარებთ თუ არა ამ ბრალდებას?

– ამისი მოწმე ვინ არის?

– საქმეზე, რომელიც სავარაუდოდ თქვენ ჩაიდინეთ, უამრავი მოწმეა დაკითხული, აღებულია ანაბეჭდები. რაც ჩაიდინე, ქრონოლოგიურად მოგიყვები.

პროკურორმა გოგუამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა თავზე აიღო. თვითონ აწარმოებდა დაკითხვებს, არა იმიტომ, რომ სხვას არ ენდობოდა, უბრალოდ, რეზონანსული საქმე იყო და რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომის გაპარვა არაფრით შეიძლებოდა. საქმის მასალებიდან და გამოთხოვილი დოკუმენტებიდან კი ირკვეოდა, რომ მარტიკიანი უაღრესად ფრთხილი იყო, საშიშროებას წამიერად გრძნობდა და მომენტალურად იღებდა გადაწყვეტილებას. შორს იყო ნარკოტიკებისგან, სვამდა ძალიან ცოტას, სიგარეტს კი საერთოდ არ ეწეოდა. იყო წიგნიერი, თავისუფალ დროს სულ კითხულობდა. აქცენტის გარეშე საუბრობდა ქართულად, რუსულად. იცოდა გერმანული და თავისთავად სომხური. ასეთი კაცის დაკითხვა კი ცოტა სირთულეს წარმოადგენდა. ყველაფერი პროკურორის პროფესიონალიზმზე იყო დამოკიდებული.

პროკურორმა ეს ყველაფერი წამებში გაიაზრა, გამომწვევად შეხედა „სერის“ და ჰკითხა:

– რატომ თქვი უარი ადვოკატის აყვანაზე?

–– თქვენ ჯერ სხვა კითხვა უნდა დაგესვათ.

– კითხვის რიგითობას აქ მე ვსაზღვრავ. რატომ თქვი უარი ადვოკატის აყვანაზე?

– საკუთარ თავს ყველაზე უკეთ თვითონ დავიცავ. თუ ვერ დავიცავ, გამოდის, რომ ადვოკატიც ვერაფერს გახდება. თან თქვენ ბრალს მდებთ ორი ადამიანის მკვლელობაში. ასეთი ბრალის წაყენების შემდეგ გამოჩნდება ისეთი ვინმე, რომელიც ჩემს ინტერესებს დაიცავს?

კრავად გადაიქცა, რომ ისევ მგელი გახდეს, არ გამოუვა, – გაიფიქრა პროკურორმა.

რა ფოლადივით ხმა აქვს. ეს დაყენებულ ხმას არ ჰგავს, – დაფრთხა მარტიკიანი და პროკურორმა მსგავსი არაფერი შემატყოსო, წელში გაიმართა:

– გისმენთ, უფროსო.

– დღეისთვის ეს ვიკმაროთ.

– გაცნობის იყო?

– ასე ჩავთვალოთ, ხვალ, როცა ამოგიყვანენ, მზად გქონდეს პასუხები შემდეგ კითხვებზე: – როდის გაიცანით კაპიტანი ჟღენტი და რა ურთიერთობაში იყავით მასთან? – როდის ნახეთ ბოლოს? – როდის დატოვეთ მახარაძის რაიონი, ვისთან ერთად და რითი? გასაგებია, „სერი“? – პროკურორი ფეხზე წამოდგა და ბადრაგს ანიშნა, ბრალდებული გაეყვანა.

მერე მდივანს უხმო:

– ნინა ხარიტონოვნა, ორი ჩაი, სერგოსთვის და ჩემთვის, მწვანე, რა თქმა უნდა.

– სერგო, მარტიკიანი დღეს და ხვალ, დაკითხვამდე მოიფიქრებს ზღაპრებს. უნდა დავხვდეთ ისეთი არგუმენტებით, რომ სათაგურში აღმოჩნდეს. პირველი კითხვა რომ სასხვათაშორისოა, კარგად მიხვდებოდი, აი, მეორე და მესამეა თავგზაამბნევი. მერე გავართულებ შეკითხვებს.

სერგომ ჩაიღიმა.

– რა, არაა მასე?

– ამ საქმის პატარა დეტალებიც კი ზეპირად ვიცი, ამ კითხვების დასმამ გამაკვირვა.

– რატომ?

– მე დავიბენი, ენვერიჩ და ის რას იზამს? თუ თქვა, 4-ში ვნახე და 6-ში დავტოვე მახარაძეო, გამოდის ტყუის. 8-ში იყო არონთან, სამი დღის შემდეგაც მივიდა ფულის მისაღებად. მოკლედ, აურიე გონება.

– ჩაი შემოვიტანო? – მდივანმა შემოაღო კარი.

– რა თქმა უნდა.

– ეს „პეჩენიები“ კაპიტონ ჯინჭარაძემ ამოიტანა, მარტო ჩაიზე ცოდოა ხალხიო, თან შეგახსენათ, ნადირობის სეზონიც იწყებაო...

– „პეჩენიებისთვის“ მადლობა გადაეცი, უთხარი, სეზონამდე რაღაცას ვიზამ-თქო.

...

ბადრაგმა 10 საათისთვის პროკურატურაში გადაიყვანა ჯერაც მხნედ მყოფი მარტიკიანი.

– აბა, განვაგრძოთ. რა ურთიერთობაში იყავით კაპიტან ჟღენტთან?

– ის უბნის ინსპექტორი იყო. როგორც ყველა უბნის ინსპექტორი, ეცნობოდა ჩემნაირი წარსულის ხალხს, შინაურულად მესაუბრებოდა, ჭკუას მარიგებდა. ეს იყო სულ.

– შეძლებ, რომ ცოტა რომ უკეთ გაიხსენო, მაგის იქით რა ხდებოდა?

– – არც არაფერი. ჩვეულებრივი დამოკიდებულება გვქონდა, არც ძალიან შინაურული, არც ძალიან მკაცრი.

– თქვენს შორის დაძაბულობა თუ იყო და საიდან დაიწყო იგი?

– არავითარი დაძაბულობა, მხოლოდ ჩვეულებრივი დამოკიდებულება.

– ბოლოს როდის ნახე?

– ალბათ, 4-5 დღით ადრე.

– რაზე ისაუბრეთ?

– სამსახურზე. ის სულ მეუბნებოდა, რომ მუშაობა დამეწყო, ოჯახს მოვკიდებოდი, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩავბმულიყავი. თითქმის თანახმა ვიყავი, დავთანხმებოდი, მაგრამ რუსეთში უფრო დიდი ანაზღაურება იყო და იქით მიმიწევდა გული.

– როდის დატოვე მახარაძის რაიონი?

– დიდი ხანი გავიდა, რიცხვს ზუსტი ვერ ვიხსენებ, მახსოვს, რომ თოვდა.

– რატომ მაინცა და მაინც თოვლში გადაწყვიტე წასვლა?

– აქვს ამას რამე მნიშვნელობა თოვლში წავიდოდი თუ წვიმაში?

– არც არაფერი, ერთის გარდა. ეტყობა, ძალიან გეჩქარებოდა.

– ???

– ხომ არ შეგინიშნავს კაპიტანი ჟღენტის ქმედებაში შენდამი აგრესიული დამოკიდებულება?

– არა.

– თუ სვამ და საერთოდ სმა თუ გიყვარს?

მარტიკიანი ოდნავ ჩაფიქრდა და მოკლედ მოჭრა:

– როცა ხასიათზე ვარ.

– რისთვის იყო კაპიტანი ჟღენტი შენთან სახლში?

– გიპასუხეთ. სამსახურის დაწყებას მთხოვდა.

– მთელი ოთხი საათის განმავლობაში სამსახურის დაწყებას გთხოვდა?

– იდეურ-აღმზრდელობთ მუშაობას ატარებდა.

– ყველასთან?

– ვინ ყველასთან?

– შენს მამიდაშვილთან და იმ ორ გოგონასთანაც?

– ისინი აქ არაფერ შუაში არიან.

– თავში არიან, მარტიკიანო, თავში.

ჩემი გულის განზრახვა, არავისთან მითქვამს და გამორიცხულია იგი ამ პროკურორმა ამოიცნოს. შეიძლება, მაბოლებს. არავითარი დანებება. – გონებაში თავს შემოუძახა მარტიკიანმა.

– ვერ გავიგე.

– გასაგებად გეუბნები. კაპიტანი ჟღენტი იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას მხოლოდ შენთან ეწეოდა თუ ყველასთან, ვინც სახლში იყავით?

– ჩემთან, უფროსო.

– სხვები უყურებდნენ და ისმენდნენ, ალბათ.

– კი, მასეა.

– სხვა დეტალებს, უფრო მნიშვნელოვანს, ხომ ვერ გაიხსენებ კაპიტანი ჟღენტის თქვენთან პირველი სტუმრობისას?

– არ მაგონდება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სამსახურის დაწყება.

– ვატყობ, ბევრი რამის გახსენება გიჭირს. არაუშავს, დრო უამრავი გაქვს გასახსენებლად.

– რაც მახსოვს, ყველაფერს ალალად გეუბნები, რაც არ მახსოვს „ზნაჩიტ“, არ ყოფილა მნიშვნელოვანი.

–მარტიკიანო, სამი კითხვის ირგვლივ ვტრიალებთ და სრული პასუხი ჯერ არც ერთზე გაგიცია. ექიმს გამოვიძახებ, იქნებ რაიმე წამალი მოგცეს გულმავიწყობის საწინააღმდეგო. – თვალი თვალში გაუყარა ბრალდებულს.

ვისთან არ ჰქონია ურთიერთობა, დაძაბული საუბარი, ჩხუბი, დანა, პისტოლეტი, მაგრამ ასეთი გამჭოლი შემოხედვა არავისგან ახსოვს. ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ექიმი... წამალი... მიხვდა, რასაც ნიშნავდა ყოველივე და წინასწარ შეემზადა მოსალოდნელი შემთხვევისთვის.

– თამაზ, სოსო ამოვიდეს ჩემთან სასწრაფოდ.

– ჩემთან არის და ვუშვებ, – მოკლედ უპასუხა მილიციის უფროსმა.

სანამ სოსო ამოვიდოდა, პროკურორმა კიდევ ერთხელ უთხრა მარტიკიანს, გაეხსენებია კაპიტანი ჟღენტის პირველი სტუმრობის დეტალები, რაზეც უცვლელი პასუხი მიიღო. სამი წუთიც არ იყო გასული, შიდა ტელეფონი აწკრიალდა.

– რა თქმა უნდა, ახლავე.

ყურმილის დადება და კარის გაღება ერთი იყო. მილიციის ფორმაში გამოწყობილი სამძებრო სამსახურის თანამშრომელი სოსო თოლორდავა მწყობრი ნაბიჯით შემოვიდა ისე, რომ მარტიკიანს არც შეუხედავს მისთვის.

– სოსო, ბრალდებულ მარტიკიანს გულმავიწყობა დასჩემდა. ერთი კარგი ექიმი უნდა ნახო და ისეთი წამლები დაუნიშნოს, მეხსიერება რომ აღუდგეს. ცდილობს კაცი ყველაფრის გახსენებას და ვერ ახერხებს. ხომ შეგიძლია?

– ვეცდები, მამია ენვერიჩ, ყველანაირად ვეცდები.

ამ ხმის გაგონებამ შეძრა ბრალდებული. ფეხზე უნდოდა წამოხტომა, მაგრამ სოსომ მარჯვენა ისე დააჭირა ბეჭის თავზე, რომ ტკივილისგან ლამის იყვირა. ბადრაგმა ხელი გამოსდო ბორკილდადებულ მარტიკიანს და ბრძანებას დაელოდა პროკურორისგან, როდის იტყოდა გაიყვანეთო.

სოსომ მგლური თვალებით ჩახედა თვალებში, აგრძნობინა, სულ ცოტა ხანი დარჩა ჩვენი მეგობრის მკვლელობისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის გამოტანამდეო.

– გაიყვანეთ.

ბადრაგმა გაიყვანა მარტიკიანი. კაბინეტში პროკურორი და ოპერრწმუნებული დარჩნენ, დიდხანს საუბრობდნენ, პროკურორს სოსო როსტოვიდან ჩამოსვლის შემდეგ არ ენახა. დეტალურად მოისმინა მისი სამი წლის მანძილზე გაწეული მუშაობა...

მოგვიანებით მათ მილიციის უფროსიც შემოუერთდა. გვიან ღამემდე ენთო შუქი პროკურორის ოთახში.

შაბათ-კვირა რომ სამართალდამცავებისთვის არ არსებობს, ეს ყველამ იცოდა და დაუწერელი კანონი იყო. მონატრებული დასვენება ცოლ-შვილთან, ბუნებაში გასვლა, ეზო-მიდამოს მოვლა მონატრებული ჰქონდათ პირველ პირებს ამ საქმის გამო. ქალაქში მომხდარ სახალისო ამბებს ახლობლებისგან იგებდნენ...

ისევ ამ საქმის დეტალებს უკირკიტებდა პროკურორი კვირა დღეს სამსახურში, როცა მისმა მეგობარმა დაურეკა.

– ამდენი მუშაობა და გონებრივი გადაღლა არ შეიძლება, მამუკა. ცოტა შეისვენე, მე და ნოდარი ვართ მარტო და ჩემთან ჩამოვსხდეთ, შენ რომ გიყვარს, ისეთი ადესა მაქვს ჩაცივებული, ჭადი, ყველი და ფხალეული... თან კაი სახალისო ამბებს მოგიყვები, სულ ახალს.

(გაგრძელება იქნება)

ციური ბაბილოძე იუბილარია

გულწრფელი სიყვარულით და ულრმესი პატივისცემით გეხმიანებით და გილოცავთ დაბადებიდან 8 ათეული წლის ღირსეულად გასრულებას.

მისაბაძია რომ პირნათლად, უდიდესი პასუხისმგებლობით, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით მოიხადეთ ვალი, რათა მოზარდებში გაგელივებინათ ცოდნის, სიკეთის, კაცთმოყვარე-ობის და სიყვარულის ჭეშმარიტი მრცვალი.

„დრო წასულა ისე სწარაფად, გაუშლია თითქოს ფრთები თვალს და ხელსშუა გაფრენილან წლები....“

არაფერი შეედრება იმ სიყვარულს, რომელიც თავდაუზოგავი შრომით მერიის საკარო სკოლის კოლექტივსა და თითოეულ აღსაზრდელში გაანივთეთ.

თქვენი ლამაზი ნაღვაწით კი უამრავი საპატიო ვკილდო დაიმსახურეთ. გახდით „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის მფლობელი.

დღეგრძელობას, მხნეობას და ულევ სიხარულს გისურვებთ თქვენს ულამაზეს ოჯახთან ერთად.

ღმერთს შევთხოვ, მოგეცეთ ძალა, რომელიც თქვენს დაუკითხავად დაარეგულირებს ყველაფერს და ყოველ წუთს სასიკეთო საქმისთვის განგაწყობთ.

კრძალვით და თაყვანისცემით

როზა გოგუაძე

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

მეტად საჭირო წიგნი

ალიონი. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა თემურ რევიშვილმა, ყოფილ დოქტორანტ თამაზ მიქაძესთან ერთად, გამოსცა წიგნი „სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია“.

რეცენზენტების თქმით, ეს არის მეტად საჭირო წიგნი სპეციალისტების ფართო წრისთვის, ფერერებისთვის, დაინტერესებული პირებისთვის და აგროტექნოლ-ოგიური მიმართულების სტუდ-ენტებისთვის, მეურნეობისთვის.



გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“
6 თვით – 15 ლარი
ერთი წლით – 30 ლარი

განცხადება
მეტალოპლასტმასის კარფანჯრების დამზადება ხელსაყრელ ფასებში
ტელ: 598 00 53 53

განცხადება
ვყიდი ღარიან კრამიტს.
რაოდენობა 2500 ცალი.
ფასი – შეთანხმებით.
ტელ. 595 04 65 21

სამგლოვიარო განცხადება

გაზეთი „ალიონი“ მწუხარებით იუწყება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის მოადგილის **დიმიტრი (დიმა) კვერღელიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი



პასუხები:

ანეგლი – ბოლოდროინდელი ფილმი; ბერძენი; ბალეტი; ბეგელი; ბეტონი – ინარევი; ბოლო; ბუჩქოვანი; ბოსტანი – ბაღი; ბევრი; ბეჭედი – ფიცარი; ბერძენი; ბერძენი; ბალეტი; ბეგელი; ბეტონი; ბოლო; ბუჩქოვანი; ბოსტანი – ბაღი; ბევრი; ბეჭედი – ფიცარ

.საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917 წლის ნოემბერი)

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი პრორუსული ორიენტაციის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა. ამამვე დროს იგი ცხადად მიანიშნებდა იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთთან საქართველოს არანაირი კავკშირის დაჭერა არ სურდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – პოლიტიკური ორიენტაცია აღებული იყო დემოკრატიულ რუსეთზე. რეზოლუციის პროექტში ხაზგასმით ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რუსეთში დემოკრ-ატიული წყობილების დამყარების შემთხვევაში საქართველო რჩებოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენ-ლობაში შემდეგი პირობით – "საქარ-თველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონ-მდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე", ე.ი. ავტონომიური ერთეულის სახით. მართალია, ნოე ჟორდანიას პროექტში არაფერი ყოფილა ნათქვამი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, მაგრამ რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენის დაგვიანების შემთხვევაში საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნა მაინც სახ-ელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქვეტექსტის ამოკითხვა შეიძლება.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის აშკარა რუსოფილური პოლიტიკური განწყობილება, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ ეროვნულ დემოკრატებს. რეზოლუციის პროექტის განხილვისას პირველი სიტყვა აიღო **გიორგი გვაზავამ.** სიტყვის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ გიორგი გვაზავასათვის მიუღებელი იყო სწორედ პრორუსული ორიენტაცია: "ზოგიერთი მუხლი პროექტისა მეხამუშება. უმჯობესია პირველი და მეორე მუხლი გაკვრით იყოს გამოთქმული". გიორგი გვაზავას გამოსვლის შემდეგ გრიგოლ რცხილაძის წინადადებით დაიწყო რეზოლუციის პროექტის მუხლობრივი განხილვა. ნოე ჟორდანიამ ხელახლა წაიკითხა პირველი მუხლი და განმარტა, რატომ იყო ასე ცხადად გამოხატული პრორუსული კურსი: "დღეს ობიექტური პირობები, გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა, ისეთია, რომ ჩვენ ცხადათ უნდა ვაღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესათ ყურადსაღებია აქ ის გარემოება, რომ ჩვენს ფრონტზე სდგას ამდენი ჯარი, რომელიც თუ ჩვენ სხვა გზას დავადექით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე". შემდეგ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა რეზოლუციის პროექტის მეორე მუხლი. რუსული ორიენტაცია მიუღებლად მიიჩნია **გრიგოლ ვეშაპელმაც**: "რეზოლუციებში ვილაპარაკოთ ისეთ რამეებზე, რაც ყველას გვაერთებს, ფრონტისათვის ჩვენს რეზოლუციას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. წმინდა რუსული ორიენტაცია შეგვზღუდავს, რადგანაც ჩვენის ყრილობის რეზოლუცია მარტო შინ და ფრონტზე არ გაიტანება; ამას გარეშენიც გაიგებენ და თუ ჩვენ იძულებული შევიქენით ორიენტაცია შევცვალოთ მომავალში, მაშინ ასეთი რეზოლუცია გვაგნებს". პირველი მუხლის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა **გრიგოლ რცხილაძემ:** "ავტორის რედაქციით პირველი მუხლი მიუღებელია, ფრონტი იფიქრებს ამათ გამარჯვება უნდათო. ეს რეზოლუცია იწერება არა ფრონტისათვის და საგარეო სახელმწიფოებისათვის, არამედ ქართველი ხალხისათვის. ჯერ ჩვენი საჭიროებანი უნდა ვაღიაროთ და მერე ვსთქვათ, ვისი დახმარებით გავანაღდებთ მას".

კენჭისყრის შედეგად პირველი მუხლი უარყოფილ იქნა, მეორე მუხლი კამათის გარეშე მიიღეს. მცირე კამათის შემდეგ მიიღეს მესამე მუხლიც. მაგრამ კამათი პირველი მუხლის შესახებ მაინც გაგრძელდა. **გიორგი გვაზავამ** განაცხადა: "საჭიროა შეთანხმება, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ისეთი რეზოლუცია უნდა მივიღოთ, რაც გამომდინარეობს ჟორდანიას მოხსენებიდან, რომელიც ჩვენ მოვიწონეთ. თუ დეკლარაციები წავიკითხეთ ჩვენ ავირევით, რადგანაც შემდეგმა ორატორებმა შეიძლება წინა ორატორები გააკრიტიკონ და მაშინ დასურულებელი კამათი უნდა გაიმართოს. 1 პუნქტი (ორიენტაციისა – ვ. გ.) უნდა მოიხსნას, როგორც გამომდინარე მოხსენებიდან და მომენტისა და ძალთა განწყობილების შესაფერი, უნდა დარჩეს". სოციალ-დემოკრატები კვლავ იცავდნენ რეზოლუციის პროექტის პირველ მუხლს. **გრიგოლ ურატაძემ** განაცხადა: "ტაქტიკა გვავალებს ორიენტაცია რუსეთისა ვაღიაროთ დღეს. ეს სრულებითაც არ შეგვიშლის ხელს ხვალ შეცვლილი პირობების გამო სხვა დავადგინოთ". იგივე გაიმეორა **ვალიკო ჯუღელმა:** "პირველი მუხლი ჩვენ არ გვავალებს სამუდამოთ რუსეთის ორიენტაციას შევრჩეთ. 1 მუხლი გამომდინარეა მოხსენებიდან. თუ გვინდა საქმე გავაკეთოთ და დავაშოშმინოთ ადგილობრივი რუსული ელემენტები და პეტროგრადიც (სადაც კავკასიის გამოყოფაზე ლაპარაკობენ – ვ. გ.), ტაქტიკური მოსაზრებით დარჩეს მოტივაციაც". სოციალ-დემოკრატების დაჟინებულ მოთხოვნებს **ირაკლი ამირეჯიბმა** ასე უპასუხა: "საჭიროა ზურგს უკან მოვიხედოთ. საქართველოს მთელი აღმოსავლეთი ბრალსა სდებდა კარების გაღებაში. უნდა ვიზრუნოთ, რომ ზარალმა არ გადაჭარბოს სარგებლობას". რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ გამოსვლისას **გიორგი გვაზავამ** დამატებით აღნიშნა: "აქ რაღაც გაუგებრობაა. უწინ დასავლეთთან კავშირი თუ რუსეთის საშვალებით გვქონდა, დღეს შეგვიძლიან პირდაპირ, უშუამავლო დამოკიდებულება ვიქონიოთ დასავ. ევროპასთან. ამიტომ მხოლოდ რუსული ორიენტაცია ტაქტიკურად მიუღებელია. რა არის რუსეთი ამ მომენტში? რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ფინლანდიაზე, უკრაინაზე, ყუბანზე, მთიულეთსა და ადერბეიჯანზე და სხვაზე. ჩვენ გვინდა კავშირი რუსეთის დემოკრატიასთან, მაგრამ რუსეთის ორიენტაცია სხვაგვარად იქნება გაგებული. არ იქნება ეს სხვა ერებისათვის ბრძოლის გამოცხადება? ამიერ-კავკასიაში გარდა რუსეთისა ეხლებიან გერმანიის, საფრანგეთის, ოსმალეთის და სხვათა ინტერესები. სჯობს გაჩუმება. საკმარისია მე-2 მუხლი". გიორგი გვაზავას დაუჭირა მხარი **შალვა ქარუმიძემ:** "უწინ რუსეთი ძლიერი იყო, დღეს იგი უსახოა. დღეს რუსეთში არა თუ არ არის, არც მოსჩანს ისეთი ძალები, რომლებმაც მოაგვარონ რაიმე. რუსეთის საღი ელემენტები სხვაგან, ევროპაში, ეძებენ ხსნას. თუ რუსეთის ორიენტაცია გვარგებს ფრონტთან, გვაზარალებს ამ ორიენტაციის მოწინააღმდეგე ხალხებთან. თუ აქ ოსმალეთი შემოვიდა, ხომ ჯავრს ამოიყრის ჩვენზე ამის გულისათვის".

საბოლოოდ ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ ხმების უმრავლესობით მაინც მიიღო ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის პირველი მუხლი. ამასთან, გადაწყდა პირველი და მეორე მუხლის გაერთიანება.

ამრიგად, ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ, ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგობის მიუხედავად, **პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია მართებ-ულად მიიჩნია.** იგივე დაადასტურა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამაც.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის სხვა მუხლებს დიდი პოლემიკა არ გამოუწვევია.



მერვე მუხლის განხილვი-სას სოციალ-ისტ-ფედერალისტებმა მოი-თხოვეს, იქ, სადაც ნათქვამი იყო **„ასეთ ნორმათ მივაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით",** დამატებოდა **"ანუ ავტონომია".** ამ შესწორების წინააღმდეგ გამოვიდნენ **ვალიკო ჯუღელი, გრიგოლ ურატაძე** და სხვები. სამაგიეროდ, შესწორებას მხარი დაუჭირა ნოე ჟორდანიამ, მაგრამ შესწორება საბოლოოდ მაინც ვერ გავიდა. მცირე შესწორებებით მიიღეს რეზოლუციის დანარჩენი მუხლები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანიას მიერ წაკითხული მოხსენების – "დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა" – შემდეგ მისაღები რეზოლუციის პროექტის განხილვამ ეროვნულ-პოლიტიკურ სექციაში ცხადად გვიჩვენა **ქართული პოლიტიკური ელიტის სიმწიფე, რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში ორიენტაციის უნარი.**

რა თქმა უნდა, არც ეროვნულ-პოლიტიკურ სექციას და არც საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას არ შეეძლო აბსოლუტურად ყველა კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა, ობიექტურად არ შეეძლებოდა ყველაფრის ზუსტად გათვლა, ყველა პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა. აშკარაა, რომ ამას ქართველი პოლიტიკოსები კარგად გრძნობდნენ, ამიტომაც ძალზე ფრთხილობდნენ, იტოვებდნენ საშუალებას, ახალი პოლიტიკური კურსის შესამუშავებლად, თუსიტუაცია მოულოდნელად შეიცვლებოდა.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლების მოხსენებები. მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობის 1917 წლის 29 ოქტომბრის და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობის 8 ნოემბრის დადგენილებებით, ორივე გუბერნიის თავადაზნაურობის კოლექტიური ქონება, ქონებრივი უფლებები და ვალდებულებანი აღიარებული იყო ქართველი ერის ავლადიდებად. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნული იყო: "ვიდრე საქართველოს თვითმმართველობის სავარო უფლებრივი ორგანო დაარსდებოდეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაევალოს (...) ჩაიბაროს ქართველ თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოდან მისი, თავადაზნაურობის, როგორც წოდებრივი ორგანიზაციის, უძრავი და მოძრავი ქონება, ქონებრივი უფლებები და მიიღოს აგრეთვე მისი ვალდებულებანი, ჩაიბაროს თავადაზნაურობის საკრებულოთაგან საქმეები და არქივები, იკისროს ამ ქონების მოვლა პატრონობა და ვალდებულებათა აღსრულება და მიიღოს ყოველივე საშუალება, რათა თავადაზნაურობის ქონებრივი უფლებანი უკლებლივ და მთლიანად ჩააბაროს მას."

საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევა. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია **საქართველოს ეროვნული საბჭო.** ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის (წევრები და კანდიდატები) პროექტი ნოე ჟორდანიამ შეადგინა, თუმცა პროექტმა შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა. ნოე ჟორდანიას პროექტში ეროვნული საბჭოს 63 წევრი და 63 კანდიდატი იყო შესული. საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი** (ქართველი სოციალ-დემოკრატები) – 31 ადგილი; **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია** – 10 ადგილი; **ეროვნულ-დემოკრატები** – 9 ადგილი; **საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია** – 1 ადგილი; **რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია** – 6 ადგილი; **უპარტიონი** – 2 ადგილი; **ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი "ალიონი"** – 4 ადგილი. ეროვნული საბჭოს კანდიდატთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები) – 32 ადგილი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 8 ადგილი; ეროვნულ-დემოკრატები – 9 ადგილი; საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ადგილი; რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია – 5 ადგილი; უპარტიონი – 2 ადგილი; ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი "ალიონი" – 4 ადგილი.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის წინ გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა ეროვნული საბჭოს შემადგენლობის საბოლოოდ განსაზღვრას. საფუძვლად მიღებული იქნა ნოე ჟორდანიას პროექტი. კრების გადაწყვეტილების თანახმად, ეროვნულ საბჭოში უნდა შესულიყო 67 წევრი და 65 კანდიდატი. როგორც ჩანს, ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობა კიდევ საჭიროებდა დაზუსტებას. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ეროვნული საბჭოს წევრთა სიაში დანორმილი, მაგრამ თავისუფალი იყო 2 ადგილი, ხოლო კანდიდატთა სიაში – 4 ადგილი. გარდა ამისა, საბჭოს კანდიდატების ძირითადი სიის გასწვრივ დამატებით ჩამოწერილია 5 კაცის გვარი, რომელთაც ალბათ სია, უნდა შეევსოთ. მცირე ცვლილებებით ეროვნული საბჭოს ეს შემადგენლობა დაამტკიცა კიდევ პირველმა ეროვნულმა ყროლობამ.

ყრილობის მიერ დამტკიცებული ეროვნული საბჭო შედგებოდა 66 წევრისა და 61 კანდიდატისაგან. 6 წევრი საბჭოში სათათბირო ხმით იქნა არჩეული. ეროვნული საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია** – 10 ადგილი; **რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია** – 1 ადგილი; **რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია**– 7 ადგილი; **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** – 9 ადგილი; **უპარტიონი** – 2 ადგილი; **ალიონელები** – 4 ადგილი; **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები)** – 28 ადგილი; **სამაჰმადიანო საქართველო** (ბათუმის ოლქი) – 3 ადგილი; **ზაქათალის ოკრუგი** (ჭარ-ბელაქანი) – 1 ადგილი; **სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო** – 1 ადგილი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრთა პერსონალური შემადგენლობა ასეთი იყო:

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია(10 ადგილი): გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, შალვა მესხიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე, იესე ბარათაშვილი, იასონ ბაქრაძე, სვიმონ მდივანი, ალექსანდრე წერეთელი;

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია (1 ადგილი): დავით ჩიქოვანი;

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია (7 ადგილი): კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჩერქეზიშვილი, იოსებ გობეჩია, ივანე გობეჩია, ივანე ლორთქიფანიძე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (9 ადგილი): ნიკოლოზ ნიკოლაძე, გერონტი ქიქოძე, იოსებ დადიანი, გიორგი ჟურული, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, დავით ვაჩნაძე, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი;

უპარტიონი (2 ადგილი): კონსტანტინე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი;

"ალიონი" (4 ადგილი): პეტრე ქავთარაძე, ივანე გომართელი, ნიკოლოზ ქავთარაძე, პავლე საყვარელიძე;

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები) (28 ადგილი): ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ვლადიმერ ჯუღელი, დავით ონიაშვილი, ჰაიდარ ბეი აბაშიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ალექსანდრე მაისურაძე, ანდრია ჭიაბრიშვილი, გერასიმე მახარაძე, პეტრე გელეიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, ნიკოლოზ ელიავა, მინადორა ტოროშელიძე, კონსტანტინე საბახტარიშვილი, სვიმონ ჯაფარიძე, გრიგოლ ურატაძე, ალექსანდრე ფარნიევი, გრიგოლ გიორგაძე, ევტროპი როგავა, მიხეილ კლიმიაშვილი, ვიქტორ თევზაია, ერმილე სირბილაძე, ნოე ხომერიკი;

სამაჰმადიანო საქართველო (ბათუმის ოლქი) (3 ადგილი): ჯემალ ბეი ხიმშიაშვილი, მემედ ბეი აბაშიძე, რეჯებ ბეი ნიჟარაძე;

ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი) (1 ადგილი): რაფიელ ივანიცკი.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო (1 ადგილი): გიორგი გაგლოევი.

პირველი ეროვნული ყრილობის მიერ დამტკიცებულ ეროვნული საბჭოს კანდიდატთა სიაში 61 კაცი იყო, რომელთა პარტიული კუთვნილება ასეთ სურათს იძლეოდა:

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია (1 ადგილი): დომენტი არონიშიძე;

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია (5 ადგილი): ზურაბ ბაქრაძე, მიხეილ გავაშელი, ილია თევზაძე, ილია ქარცივაძე, ვასილ კარგარეთელი;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (6 ადგილი): ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ქარუმიძე, იასონ ლორთქიფანიძე, ვასილ წერეთელი, დიმიტრი ჯავახიშვილი, რევაზ გაბაშვილი;

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (9 ადგილი): სამსონ დადიანი, თედო ღლონტი, მიხეილ საყვარელიძე, სიმონ მაჭავარიანი, შალვა მიქელაძე, ერასტი ტოროტაძე, ალექსანდრე მდივანი, გრიგოლ გველესიანი, იაკობ ფანცხავა;

ვახტანგ გურული
საქართველო სრულუფლებიანი
დამოუკიდებელი სახელმწიფოა (1918)
გვ.90-96

ოზურგეთის თეატრში სასწაულები ხდება

დიახ, ოზურგეთის თეატრში სასწაულები ხდება და ეს სასწაულები კალეიდოსკოპის ფერადი ფიგურებივით ენაცვლებიან ერთმანეთს.

მათემატიკოსები ნუ დამიწყებენ იმის მტკიცებას, რომ 3+3 უდრის ექვსს, რადგან... რადგან ოზურგეთის თეატრმა, 13 ივნისს, აუარება მაყურებლის თვალწინ, მეორედ დაამტკიცა, რომ „3+3“ გაცილებით მეტია და უსასრულობას უტოლდება. პირველად ეს მომხდარა 17 მაისს, როცა **მანანა დოიაშვილის** ამ პიესის პრემიერა შემდგარა ორი უნივერსიტეტის (თეატრალურისა და ილიას სახელობისა) პროფესორის, არაერთი პროფესიული ჯილდოს მფლობელის **ვანო ხუციშვილის** რეჟისორობით. ვნანობ, განვიცდი კიდეც, რომ პრემიერას ვერ დავესწარი და მივიკელი თეატრალური ხელოვნების ამ შედევრის პირველი გამომზეურების ემოციური სიამოვნება. ვფიქრობ, ეს სპექტაკლი სათანადო ადგილს დაიკავებს როგორც ოზურგეთის თეატრის ისტორიაში, ისე ბატონი ვანოს, როგორც დამდგმელი რეჟისორის, მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებაში.

დავუბრუნდეთ 13 ივნისს. იმ დღეს ოზურგეთელი მაყურებელი ამ ფსიქოლოგიური დრამის სასწაულებრივი წარმოდგენის მხილველი გახდა, მაყურებლისა, რომელიც ფარდის გახსნისა და მუსიკის პირველივე ბგერის ექოდ გავარდნისთანავე, უკვე დამუხტული, წუთიწუთზე ელოდებოდა რაღაც მოვლენის სასწაულებრივად განვითარებას, კულმინაციასა თუ კვანძის გახსნას.

უპირველესად, ახალგაზრდა მსახიობებზე **ციცი ბუცხრიკიძესა** და **ნიკა ძნელაძეზე** მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ამ სპექტაკლიდან კარგად ჩანს, ვინ მოდის მომავლიდან, ერთი ნახვით შეყვარებას დავარქმევდი იმას, რაც მაყურებელმა „ბრავოს“ შეძახილებით გამოხატა ამ წყვილის მიმართ. დიახ, ოზურგეთელები მოიხიბლენ ბუცხრიკიძის ქალური შარმით სავსე, ტემპერამენტიანიანი ჩეტითა და ძნელაძის ყურებამდე შეყვარებული დორეთი.

საიდუმლოს დამალვის, მალული სიყვარულის გაუმჟღავნელობის, უკიდურესი სიტუაციიდან თავის დაძვრენის შტრიხებით გააჯერა ჯოჯის პორტრეტი მსახიობმა **შორენა გვეტაძემ,** რომლის არც ერთი როლი გაუტარებია მაყურებელს უოვაციოდ.

ვახტანგ ჩხარტიშვილმა, რომელიც ამავე დროს ამ სპექტაკლის რეჟისორის ასისტენტია, გვეძი კი არ ითამაშა, ნატურალურ გვეძად იქცა, ისეთ გვეძად, რომელიც სცენიდან ჩამოსვლის შემდეგაც ადვილად ვერ შეელევა გვეძობას.

რაც შეეხება **თამარ მდინარაძეს** (ბაუკი), ხმამაღლა ვაცხადებ: ეს არ არის ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი, უფრო მეტია – **ახლა საქართველოში (არა მხოლოდ) თამარის ბადალი მსახიობი ქალი არ მოიძებნება!** ეს ჩემი პირადი აზრია, რომელსაც, ამ სპექტაკლში მის მიერ განსახიერებული ბაუკის გარდა, სხვა პერსონაჟებისგან მიღებული ემოციები ასაზრდოებს.

მხატვარ **თეა კუხიანიძის** დამსახურებით, საოცრად ტევადი და გამჭვირვალეა ამ სპექტაკლში ოზურგეთის თეატრის მცირე სცენა.

ტრაგიკული დინამიზმით სავსე და სულის ამფორიაქებელია **გიორგი ჯიქიას** მუსიკალური გაფორმება.

ახლა, როცა ამ წერილზე ვმუშაობ ჭაბუა ამირეჯიბის **ნიკანდრო ქირიამ** შემახსენა თავი: „დედა, რა იყო აგი, ა?!“ აღარ განვაგრძობ ციტირებას, რადგან უკვე გითხარით, ვისი და როგორი ნახელავიცაა.

აი, თურმე რა ჰქონდა მხედველობაში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატს, **ვასო ჩიგოგიძეს,** როცა თქვა: „ჩვენ უკვე ევროპული თეატრი ვართ“.

ასეთი სპექტაკლის სანახავად მაყურებელი ყოველთვის ივლის თეატრში.

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთელი დავით შარაშენიძე „ჩემი დიდგორის“ გამარჯვებულია

ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის ათონანი მოსწავლე **დავით შარაშენიძე** კონკურს „ჩემი დიდგორის“ გამარვებულია!

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ, დიდგორის ბრძოლის 900 წლის საიუბილეოდ, გამოცხადდა კონკურსი: „ჩემი დიდგორი“. მასში მონაწილეობა მიიღო ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლის X1 კლასის მოსწავლე დავით შარაშენიძემ. მან საქართველოს მასშტაბით გაიმარჯვა ნომინაციაში: „საუკეთესო ანიმაციური მოდელირება“.

დავითი შარაშენიძის ისტორიის მასწავლებელი **თამარ თავართქილაძე** გვწერს: ***„ზოგადად, სასკოლო კონკურსები, ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, რაც იწვევს საგნისადმი ინტერესის გაღვივებას. სწავლა-სწავლება ეფექტურია თუ, ის მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული, მაქსიმალურად ხელს უწყობს მოსწავლის გარკვეული უნარ-ჩვევების წარმოჩენასა და განვითარებას. დავითმა ერთ-ერთ სასკოლო სპექტაკლში შესანიშნავად შეასრულა დავით IV „აღმაშენებლის“ როლი, ხოლო დიდგორის ბრძოლა იდეურად ცეკვა „ცდოთ“ წარმოადგინა. როგორც დავითმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, ეს იყო ერთგვარი ბიძგი, სტიმული გადმოეცა თიხის საშულებით ქართველთა ლეგენდარული ბრძოლა „ძლევაი საკვირველი“. საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გასწია, გვე-რდში ედგნენ კლასელები და გაიმარჯვა კიდეც.***

დარწმუნებული ვარ, დავითი კიდევ არაერთხელ ასახელებს მშობლიურ სკოლასა და რეგიონს. იმრავლოს ნიჭიერმა და წარმატებულმა ახალგაზრდებმა. ისინი, ხომ ქვეყნის ნათელი მომავალნი არიან“.

დავით შარაშენიძე რედაქციაში გასულ პარასკევს ვისტუმრიეთ. „ჩემი დიდგორის“ გამარჯვებულმა „ალიონთან“ საუბრისას თქვა:

„ინფორმაცია ამ კონკურსის შესახებ ჩვენი ისტორიის მასწავლებელმა თამარ თავართქილაძემ გვითხრა და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მე შემარჩია. დაახლოებით ერთი თვე ვიმუშავე კომპოზიციაზე. თიხის ჩამოსატანად თბილისშიც კი მომიხდა ჩასვლა. მსგავსი რაღაცეები პატარაობიდანვე მიყვარდა და ეს სიყვარული არ გაქრენია. მიხარია, რომ მივაღწიე საწადელს და გავხდი ამ კონკურსის გამარჯვებული ნომინაციაში „საუკეთესო ანიმაციური მოდელირება“. ვოცნებობ, გავხდე არქიტექტორი და ყველანაირად ვეცდები ავიხდინო ეს ოცნება“.

დავით შარაშენიძემ გამარჯვებას გემო ცხენისნობაშიც გაუგო. მკითხველს ემახსოვრება, რომ ახალბედა მხედარმა ერთ-ერთ „ასკანობაზე“ გამართულ დოღში პირველობა არავის დაუთმო.

მშვენიერია „ჩვენი პატარა ხელებით“ შექმნილი სამყარო

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა მორიგი სასწავლო-სააღმზრდელო წელიწადი გაასრულეს. პანდემიის გამო, მხოლოდ შესაბამისი რეგულაციების მკაცრი დაცვით ჩატარდა გამოსაშვები ღონისძიებები.

ორიგინალურად აღინიშნა იგი ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღში (მენეჯერი - **მარიკა ღლონტი,** მეთოდისტი - **ნაილი გრძელიძე).**

ბაღის ეზოში ჩატარებულ მცირე მხატვრულ ღონისძიებას მოჰყვა გამოფენა დევიზით **„ჩვენი პატარა ხელებით**, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 2-3-წლიანთა ჯგუფმა **„გვირილა“** (აღმზრდელები - **ილიანა სირაძე, ნონა სირაძე**); 3-4-წლიანთა ჯგუფმა **„ცეროდენა“** (აღმზრდელები - **ირმა ქუტიძე თეა ტოროტაძე**); 4-5 წლიანთა ჯგუფმა **„ფუტკრები“** (აღმზრდელები - **ლია ქავთარაძე, მზია შილაკაძე**) და სასკოლო მზაობის ჯგუფმა **„მტრედები“** (აღმზრდელები - **ნანა ქერქაძე, ნანა რუსიეშვილი**).

ცალკე ექსპოზიცია წარმოადგინეს ბაღის აღმზრდელებმა.

მშვენიერია „პატარა ხელებით შექმნილი“ სამყარო.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი- +16+23
21 ივნისი
ორშაბათი

მზე, ღრუბელი- +17+25
22 ივნისი
სამშაბათი

წვიმა +16+23
23 ივნისი
ოთხშაბათი

წვიმა +17+22
24 ივნისი
ხუთშაბათი

წვიმა +17+22
25 ივნისი
პარასკევი

წვიმა +16+23
26 ივნისი
შაბათი

წვიმა +15+24
27 ივნისი
კვირა